

კარდიოქირურგია

/ხანგრძლივობა – 5 წ. - 55 თვე/

I ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები:

1.1. შესავალი:

კარდიოქირურგია არის ქირურგიული დისციპლინა, რომელიც ეფუძნება საბაზისო ცოდნას (ანატომია, ფიზიოლოგია, მეტაბოლიზმი, იმუნოლოგია, ნუტრიციოლოგია, პათოლოგია, ჭრილობის მართვა, შოკი და რეანიმაცია, ინტენსიური თერაპია, ონკოლოგია) და აწარმოებს გულისა და გულმკერდის ღრუში არსებული ორგანოების დაავადებების დიაგნოსტიკას, შეფასებას და მკურნალობას. კარდიოქირურგია აწარმოებს ფართო სპექტრის ქირურგიულ მკურნალობას, რთულ და კომპლექსურ პროცედურებს, დიდ და მცირე ოპერაციებს გულზე და გულმკერდის ღრუში არსებულ ორგანოებზე.

აღნიშნული ოპერაციებისა და პროცედურების უმრავლესობა საჭიროებს მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების დახმარებას, როგორცაა ხელოვნური სისხლის მიმოქცევა, ინვაზიური მონიტორირება, მინიმალური ინვაზიური აპარატურა.

ქირურგიული ჩარევების, პროცედურების მამუტაბურობის და სირთულის გამო კარდიოქირურგიული პაციენტების უმრავლესობას ესაჭიროებათ ადექვატური ზრუნვა ინტენსიური თერაპიის პალატაში, რის გამოც კარდიოქირურგია დახელოვნებული უნდა იყოს აღნიშნულ პაციენტთა, ამ ასპექტში, მოვლის საკითხშიც.

კარდიოქირურგები მჭიდროდ თანამშრომლობენ მათ კოლეგებთან კარდიოლოგიაში, რესპირატორულ მედიცინაში, ონკოლოგიაში, ანესთეზიოლოგიასა და ინტენსიურ თერაპიაში. მათ ასევე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ არასამედიცინო სპეციალობების მქონე პერსონალთან, როგორცაა: პერფუზიოლოგიური სამსახური, ინტენსიური თერაპიის სამსახური და საოპერაციოს არასამედიცინო პერსონალთან.

კარდიოქირურგს უნდა გააჩნდეს სპეციალიზებული ცოდნა და გამოცდილება რომელიც უკავშირდება დიაგნოსტიკას, პრე-, პერი- და პოსტოპერაციულ (მათ შორის გართულებების), მართვას.

კარდიოქირურგის კომპეტენცია შემოიფარგლება თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ ჩვევებით შემდეგ ძირითად სფეროებში:

1. კრიტიკული მედიცინა და პოსტოპერაციული მართვა:

- კარდიოქირურგიული პაციენტების კრიტიკული მდგომარეობის პრე და პოსტოპერაციული მართვა

2. ხელოვნური სისხლის მიმოქცევა, მიოკარდიუმის დაცვა და სისხლის მიმოქცევის მხარდაჭერა:

- ხელოვნური სისხლის მიმოქცევით მიმდინარე ოპერაციების მართვა
- გულის ქირურგიისას მიოკარდიუმის დაცვის მართვა
- სისხლის მიმოქცევის დახმარების საჭიროებისას ოპერაციების მართვა

3. გულის იშემიური დაავადება:

- გულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიების მქონე პაციენტების შეფასება და მართვა, სასწრაფო და გეგმიური შემთხვევისას. მოიცავს პირველადი და მეორადი პროცედურების კომპეტენციას, მომუშავე და გაჩერებულ გულზე ოპერაციების სტრატეგიას, არტერიულ რევასკულარიზაციას

- მიოკარდიუმის ინფარქტიან პაციენტებში გართულებების წინასწარ შეფასებას და საწყისი მკურანლობას: მოიცავს მიტრალურ რეგურგიტაციას, პარკუჭის ანევრიზმას, პარკუჭთშუა ძგიდის დეფექტს და ამ სიტუაციების ოპერაციულ მართვას.

4. გულის სარქვლოვანი დაავადება:

- გულის სარქვლოვანი დაავადებების მქონე პაციენტების შეფასება და მართვა: მოიცავს ორივე – იზოლირებულ და კომბინირებულ აორტის და მიტრალური სარქვლის პათოლოგიებს

- გულის, კომბინირებული, სისხლძარღვოვანი და სარქვლოვანი დაავადებების მქონე პაციენტების შეფასება და მართვა – მოიცავს შესაბამისი სიტუაციების ოპერაციულ მართვას

- ოპერაციული მართვის სრული კომპეტენცია რთული ჩარევებისას - მიტრალური სარქვლის პლასტიკა, აორტული სარქვლის პლასტიკა

5. აორტო-სისხლძარღვოვანი დაავადება:

- აღმავალი აორტის მწვავე დისექციის მქონე პაციენტების წინასწარი შეფასება და საწყისი მკურანლობა: მოიცავს შესაბამისი სიტუაციების ოპერაციულ მართვას

- ოპერაციული მართვის სრული კომპეტენცია კარდიოქირურგიულ პაციენტებში ინტერნსიური თერაპიის პალატაში

6. გულის თანდაყოლილი დაავადებები:

- გულის თანდაყოლილი მანკების მქონე პაციენტების წინასწარი შეფასება და საწყისი მკურანლობა: მოიცავს შესაბამისი სიტუაციების პალიატიურ და საკორექციო ოპერაციებს

7. გულმკერდის ტრავმა:

- გულმკერდის დიდი და მცირე ტრავმის მქონე პაციენტების წინასწარი შეფასება და საწყისი მკურანლობა: მოიცავს შესაბამისი სიტუაციების ოპერაციულ მართვას

8. პერიკარდიუმის დაავადებები:

- პერიკარდიუმის დაავადებების მქონე პაციენტების წინასწარი შეფასება და საწყისი მკურანლობა: მოიცავს შესაბამისი სიტუაციების ოპერაციულ მართვას

9. გულის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები:

- გულის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტების წინასწარი შეფასება და შესაბამისი სიტუაციების ოპერაციულ მართვას

პროგრამამ რეზიდენტებს უნდა შეუქმნას შესაძლებლობა კურიკულუმზე დაფუძნებული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების სიღრმისეულად

შესწავლისათვის, საბაზისო და გამოყენებითი ქირურგიის ათვისებისა და კლინიკური ჩვევების სრულყოფისათვის.

1.2 მიზანი და ამოცანები:

კარდიოქირურგიაში სარეზიდენტო სასწავლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოამზადოს კვალიფიცირებული სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ კლინიკური ცოდნა, ქირურგიული გამოცდილება და პროფესიული უნარი, რათა დამოუკიდებელად აწარმოონ საქმიანობა და კვალიფიცირებულად მართონ კარდიოქირურგიული პაციენტები საქართველოში.

სპეციალისტის მომზადების პროცესი წარიმართება მდიდარი საგანმანათლებლო გამოცდილებისა და მრავალპროფილური კლინიკური ბაზების პირობებში.

პროგრამას გააჩნია სამი ძირითადი კომპონენტი: კურიკულუმი, სამეცნიერო საქმიანობა და პრაქტიკული საქმიანობა, რომლებიც სტრუქტურირებული არიან იმგვარად, რომ უზრუნველყონ ცოდნის, უნარ ჩვევების, დამოკიდებულებისა და კლინიკური განსჯის უნარის ჩამოყალიბება, რაც აუცილებელი პირობაა კარდიოქირურგიული პრაქტიკისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის წევრები მზად უნდა იყვნენ, პროგრამის მიზნისა და ამოცანების შესრულებაში რეზიდენტისათვის ნებისმიერი სახის აკადემიური და პროფესიული დახმარების აღმოჩენისათვის.

პროგრამის ნებისმიერი აკადემიური კომპონენტი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ზემოთ აღწერილ მიზანთან და ამოცანებთან.

პროფესიული მზადების თითოეული ფაზისათვის/საფეხურისათვის პროგრამაში მოცემულია მზადების მიზანი, ასათვისებელი საკითხებისა და უნარ-ჩვევების ნუსხა, მზადების ფორმა, ხანგრძლივობა და მეთოდები. ასევე, ზოგადად, შეფასების კრიტერიუმები და მოსალოდნელი შედეგები, ანუ იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლის ათვისება და ცოდნა უნდა დაადასტუროს რეზიდენტმა თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ.

მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ, დამამთავრებელი ეტაპის რეზიდენტი უნდა ფლობდეს სათანადო ცოდნასა და უნარ ჩვევებს რათა შეეძლოს კარდიოქირურგიის სრული სპექტრის ფარგლებში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა; პროგრამის რეალიზაციის პროცესში ექიმს უნდა გამოუმუშავდეს კლინიკური აზროვნება, კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისა და განსჯის უნარი; ტექნიკური და ოპერაციული ჩვევები; სპეციალობაზე დაფუძნებული ცოდნა და პროფესიული ჩვევები.

აღნიშნულის შემდეგ, რეზიდენტურის კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს ადეკვატური ოპერაციული გამოცდილება და სათანადო თეორიული ცოდნა რათა ჩააბაროს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა “კარდიოქირურგიის” სპეციალობით.

გარდა ამისა, რეზიდენტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაციის მიერ დაწესებულ ქირურგიული პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებსა და მოთხოვნების დონეს.

2. სპეციალობის აღწერილობა:

კარდიოქირურგი აწარმოებს ფართო სპექტრის ქირურგიულ მკურნალობას, კარდიოქირურგია არის ქირურგიის ქვედარგი, რომელიც მკურნალობს გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკის, გულის იშემიური დაავადების, მაგისტრალურ სისხლძარღვების, მიოკარდიუმის, რითმის დარღვევის და პერიკარდის სხვადასხვა სახის დაზიანებების მქონე პაციენტებს.

რთულ და კომპლექსურ პროცედურებს, დიდ და მცირე ოპერაციებს გულზე და გულმკერდის ღრუში არსებულ ორგანოებზე. აღნიშნული ოპერაციებისა და პროცედურების უმრავლესობა საჭიროებს მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების დახმარებას, როგორცაა ხელოვნური სისხლის მიმოქცევა, ინვაზიური მონიტორინგა, მინიმალური ინვაზიური აპარატურა.

ქირურგიული ჩარევების, პროცედურების მაშტაბურობის და სირთულის გამო კარდიოქირურგიული პაციენტების უმრავლესობას ესაჭიროებათ ადექვატური ზრუნვა ინტენსიური თერაპიის პალატაში, რის გამოც კარდიოქირურგი დახელოვნებული უნდა იყოს აღნიშნულ პაციენტთა, ამ ასპექტში, მოვლის საკითხშიც.

კარდიოქირურგია თავისთავად შედგება ორი ქვედარგისაგან ა/ გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიის და ბ/ მოზრდილთა გულის ქირურგიისაგან:

ა) სპეციალობა გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგია მოიცავს ფაქტიური ცოდნის, ტექნიკური მომზადების და მსჯელობათა ერთობლიობას, აუცილებელს გულის თანდაყოლილი მანკების ზუსტი დიაგნოსტიკისა და ქირურგიული მკურნალობისათვის. სპეციალობა მოითხოვს ღრმა ცოდნას ფიზიოლოგიაში, სხივურ დიაგნოსტიკაში, ორგანოთა ფუნქციონირების განმსაზღვრელ კვლევებში, ნახევრად-ინვაზიურ და ინვაზიურ კვლევებში, პრეოპერაციულ შეფასებაში, ოპერაციის შემდგომ მკურნალობაში, კრიტიკულ მედიცინაში, ექსტრაკორპორალურ მემბრანულ ოქსიგენაციაში (ეკმო), მექანიკურ ასისტირებად სისტემებში და მანკების კორექციის, პალიატიურ და ტრანსპლასნტაციის ქირურგიულ ტექნიკაში. ძირითადი მახასიათებელი არის ინტრადისციპლინარული მიდგომა ბავშვთა ინტერვენციონალური კარდიოლოგიის წარმომადგენელთან და კარდიოანესთეზიოლოგთან ერთად. სპეციალობის სპექტრი მოიცავს ყველა ასაკობრივ ჯგუფს დაბადებიდან მოზრდილობამდე.

ბ) სპეციალობა მოზრდილთა გულის ქირურგია მოიცავს ფაქტიური ცოდნის, ტექნიკური მომზადების და მსჯელობათა ერთობლიობას, აუცილებელს გულის იშემიური დაავადების; სარქვლოვანი პათოლოგიის; აორტის, პერიკარდის და გულის კუნთის სხვადასხვა სახის დაზიანებების; რითმის დარღვევების ზუსტ დიაგნოსტიკასა და ქირურგიული მკურნალობაში. სპეციალობა მოითხოვს ღრმა ცოდნას ფიზიოლოგიაში, სხივურ დიაგნოსტიკაში, ორგანოთა ფუნქციონირების განმსაზღვრელ კვლევებში, ნახევრად-ინვაზიურ და ინვაზიურ კვლევებში, პრეოპერაციულ შეფასებაში, ოპერაციის შემდგომ მკურნალობაში, კრიტიკულ მედიცინაში, მექანიკურ ასისტირებად სისტემებში და პათოლოგიის კორექციის და ტრანსპლასნტაციის ქირურგიულ ტექნიკაში. ძირითადი მახასიათებელი არის ინტრადისციპლინარული მიდგომა ინტერვენციონალური კარდიოლოგიის წარმომადგენელთან და კარდიოანესთეზიოლოგთან ერთად.

კარდიოქირურგები მჭიდროდ თანამშრომლობენ მათ კოლეგებთან კარდიოლოგიაში, რესპირატორულ მედიცინაში, ონკოლოგიაში, ანესთეზიოლოგიაში

და ინტენსიური თერაპიაში. მათ ასევე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ არასამედიცინო სპეციალობების მქონე პერსონალთან, როგორცაა: პერფუზიოლოგიური სამსახური, ინტენსიური თერაპიის სამსახური და საოპერაციოს არასამედიცინო პერსონალთან.

კარდიოქირურგი შესაძლოა აწარმოებდეს ოპერაციების მთელ სპექტრს კარდიოქირურგიაში, მაგრამ შესაძლოა ფოკუსირებული იყოს სპეციალობის კონკრეტულ არეალზე, როგორცაა:

- აორტის ქირურგია
- გულ-ფილტვის ტრანსპლანტაცია
- გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგია ბავშვებში
- გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგია მოზრდილებში და სხვა

“კარდიოქირურგია” – წარმოადგენს ქირურგიულ სპეციალობას, რომელიც ფოკუსირებულია გულმკერდის ღრუს ორგანოთა (გულის და მაგისტრალური სისხლძარღვების) ქირურგიულ მკურნალობაზე.

- I. კარდიოქირურგი გარკვეული უნდა იყოს ჯანდაცვის ორგანიზაციის საკანონმდებლო – სტრუქტურულ საფუძვლებში
- II. უნდა იცავდეს საექიმო ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპებს
- III. სრულყოფილად იცოდეს კარდიოქირურგიული სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა
- IV. უნდა იცოდეს კარდიოლოგიური დაავადებების გავრცელების ინდექსი ქვეყანაში - მთლიანად და რეგიონებში
- V. უნდა ატარებდეს პროფილაქტიკურ სკრინინგს კარდიოლოგიურ სამსახურთან ერთად
- VI. აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს დარგის ასოციაციის (კავშირის) მუშაობაში
- VII. სრულყოფილად უნდა ფლობდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მანიპულაციებს, ოპერაციებს, მკურნალობის მეთოდებს:
 1. პაციენტის მდგომარეობის შესაფასებლად და დიაგნოზის დასასმელად არაინვაზიური და ინვაზიური გამოკვლევათა ნუსხიდან გამოკვლევის გეგმის დასახვას
 2. გამოკვლევათა პასუხების /მინიმუმ ეკგ, რენტგენოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული კვლევა, რადიონუკლიდური კვლევა, დოპლერ ექოკარდიოსკოპია, გულის კამერების და მაგისტრალურ სისხლძარღვთა კათეტერიზაცია და ანგიოკარდიოგრაფია, გარეგანი სუნთქვის კვლევა, ელექტროფიზიოლოგიური კვლევა / ინტერპრეტაციას
 3. რენიმაციული ღონისძიებების დაწყებას და წარმართვას
 4. არტერიის/ების/ და ვენის/ების/ პუნქციის და სექციის ტექნიკას
 5. პერიკარდიოცენტეზის ტექნიკას
 6. პლევრის ღრუს პუნქციის ტექნიკას
 7. ლაპარატომიის ტექნიკას
 8. პერიტონეალური დიალიზის კათეტერის ჩადგმის ტექნიკას
 9. ბალონური კონტრაპულსაციის კათეტერის ჩადგმის ტექნიკას და მის მართვას
 10. ასისტირებადი მოწყობილობის ჩანერგვის ტექნიკას
 11. ეკმო ზე პაციენტის გადაყვანის ტექნიკას და მის მართვას

12. სხმ ზე პაციენტის გადაყვანის ტექნიკას და მის მართვას
13. ტრაქეოსტომიის ტექნიკას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში
14. გულმკერდის და შუასაყრის ორგანოებთან მიდგომის კლასიკური, მცირეინვაზიური და კოსმეტიკური განაკვეთების და ქსოვილების აღდგენის ქირურგიულ ტექნიკას
15. გულის თანდაყოლილი მანკების პალიატიურ ოპერაციებს
16. გულის თანდაყოლილ მანკების საკორექციო ოპერაციებს
17. გულის გადანერგვის ტექნიკას
18. გულის სარქველების დაზიანებების საკორექციო პროცედურებსა და ოპერაციებს
19. მაგისტრალურ სისხლძარღვთა დაზიანებების საკორექციო პროცედურებსა და ოპერაციებს
20. აორტო-კორონარული შუნტირებას და ამ პროცედურისათვის საჭირო არტერიების / ვენების აღების ტექნიკას, აგრეთვე სხმ –ის გარეშე რევასკულარიზაციის შესრულების ტექნიკას
21. რითმის დარღვევის ქირურგიას
22. პერიკარდის ქირურგიას
23. გულის სიმსივნეების ქირურგიას

- VIII. კარდიოქირურგი ვალდებულია, კალენდარული წლის განმავლობაში შეასრულოს ოპერაციებისა და პროცედურების ის მინიმალური რაოდენობა, რასაც განსზღვრავს შესაბამისი დარგობრივი ასოციაცია აღნიშნულ სპეციალობაში დისკვალიფიკაციის გამორიცხვისთვის
- IX. კარდიოქირურგისათვის აუცილებელია უწყვეტ სამედიცინო განათლების სისტემაში მონაწილეობა საექიმო მოღვაწეობის ბოლომდე
- X. კარდიოქირურგი ვალდებულია პაციენტის მკურნალობის პროცესში ჩართულ სპეციალისტებთან / კარდიოლოგი, ანესთეზიოლოგი, პერფუზიოლოგი, კარდიოინტენსივისტი, ნეონატოლოგი, თერაპევტი/ წარმართოს ყოველდღიური მჭიდრო პროფესიონალური ურთიერთობები
- XI. კარდიოქირურგი ვალდებულია წარმართოს საგანმანათლებლო სახის მუშაობა პაციენტის მშობლებთან, პაციენტთან, პაციენტის მკურნალობის პროცესში ჩართულ სპეციალისტებთან საგანმანათლებლო ლიტერატურის შემუშავების და პროფესიონალური კონფერენცია-სემინარების გზით
- XII. კარდიოქირურგი მოვალეა აწარმოოს სამედიცინო დოკუმენტაცია დამტკიცებული ფორმის მიხედვით
- XIII. კარდიოქირურგი ვალდებულია აწარმოოს სამეცნიერო მუშაობა მის კლინიკაში მიმდინარე სამკურნალო პროცესის რეგულარული სტატისტიკური დამუშავების გზით
- XIV. კარდიოქირურგი პასუხისმგებელია დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის დროს მიღებულ გადაწყვეტილებებზე

კარდიოქირურგმა უნდა იცოდეს:

- კარდიოქირურგიული საქმიანობის იურიდიული ასპექტები;
- პროფესიული პასუხისმგებლობის ასპექტები, მალპრაქტიკა;
- კარდიოქირურგიული პრაქტიკის ბიოეთიკური საკითხები;

- სიკვდილის კონსტატაცია და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ღონისძიებები;
 - ორგანოთა დონაციის პრინციპები;
 - პაციენტთა უსაფრთხოების პრინციპები;
 - კარდიოქირურგიული მკურნალობის ხარისხი და მისი კონტროლის პრინციპები;
 - კარდიოქირურგიული სამუშაო გარემოს უსაფრთხოება, პროფესიული მავნეობის საკითხები;
 - კარდიოქირურგიული დახმარების არსი, მისი ორგანიზაცია და მენეჯმენტი - ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების სამივე დონეზე (პირველადი, მეორადი და მესამეული);
 - კრიტიკულ შემთხვევათა კლინიკური მართვა; კარდიოქირურგიის ეკონომიკური ასპექტები;
 - ზოგადი სამედიცინო მენეჯმენტი (კრიზისული სიტუაციების მართვა, დროის მენეჯმენტი, ჯგუფური მუშაობის პრინციპები);
 - კარდიოქირურგიული ავადმყოფის ინფორმირებული თანხმობა;
 - რისკის შეფასება და სკალირების სისტემები ქირურგიულ პრაქტიკაში, ქირურგიული გადაწყვეტილების მიღება;
 - მტკიცებულებებზე დაყრდნობილი პრაქტიკის ინტერპრეტაცია;
 - ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ახალი სამკურნალო საშუალებების კრიტიკული ანალიზი;
 - კოლეგებთან, პაციენტებთან, მათ ნათესავებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ასპექტები;
 - ვერბალური, წერილობითი და ელექტრონული კომუნიკაციები;
 - კონფლიქტების გადაწყვეტა და მენეჯმენტი;
 - საკითხისა და შემთხვევისადმი მულტიდისციპლინური მიდგომის პრინციპები;
 - მონაცემთა შეგროვება, სკრინინგული პროგრამები, სტატისტიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები ქირურგიაში;
 - კლინიკური აუდიტი და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესები;
 - მკურნალობის უწყვეტობისა და პაციენტთა გადაცემის პრინციპები;
 - სამეცნიერო პრინციპები კარდიოქირურგიაში, კლინიკური კვლევების დიზაინი და ანალიზი;
 - ოპერაციის ფსიქოლოგიური ეფექტები და მძიმე დანაკარგები, რეაბილიტაცია;
- კარდიოქირურგს უნდა შეეძლოს:**
- ქირურგიულ მდგომარეობათა მართვა, საბაზისო და კლინიკურ ცოდნაზე დაფუძნებული გამოცდილების გამოყენებით;
 - უჩვენოს შესაბამისი უნარ-ჩვევები იმ ქირურგიული ტექნიკის გამოყენებით, რომელსაც უნდა ფლობდეს კვალიფიციური კარდიოქირურგი;
 - აჩვენოს კრიტიკული აზროვნების უნარი ქირურგიული გადაწყვეტილებების მიღებისას, განსაკუთრებით, როდესაც ავადმყოფი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში;
 - წარმართოს ეთიკური, იურიდიულად დასაბუთებული განსჯა, რაც შეეფერება მაღალი კვალიფიკაციის ექიმ სპეციალისტს;
 - ეფექტურად ითანამშრომლოს კოლეგებთან და სხვა სპეციალობის ექიმებთან;

- ასწავლოს და გაუზიაროს შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება კოლეგებს, უმცროს რეზიდენტებს, სტუდენტებს და ჯანდაცვის სფეროს სხვა მუშაკებს;
- მიაწოდოს პაციენტს და მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მათი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი საჭირო რეკომენდაციები;
- აჩვენოს მზადყოფნა უწყვეტი პროფესიული განათლებისათვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ქირურგის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და სრულყოფისათვის;
- აჩვენოს სამეცნიერო კვლევების, ნაშრომების ადეკვატური აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარი, ამავდროულად თვითონაც შეეძლოს სამეცნიერო კვლევის წარმართვა ან მასში აქტიური მონაწილეობა;
- განავითაროს ლიდერობისა და ადმინისტრაციული უნარები;
- პატივი სცეს პაციენტის და მათი ოჯახის საჭიროებებს, აღმოუჩინოს და წარმართოს ქირურგიული დახმარება მათი საჭიროებიდან გამომდინარე.

არსებითი შესაძლებლობები, რომელიც უნდა გააჩნდეს რეზიდენტურის კურსდამთავრებულს მდგომარეობს აკადემიურ და მოქმედების შესაძლებლობებში და უნარებში, რასაც თან უნდა ერთვოდეს ფიზიკური, კოგნიციური და ქცევითი თავისებურებების ჩამოყალიბება და განვითარება. ეს უკანასკნელი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ინტელექტური შესაძლებლობებს (კონცეპტუალური, ინტეგრაციული და ხარისხობრივი შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია დიაგნოზის დასმისა და კლინიკური პრობლემების გადაჭრისათვის); ექიმის მოქმედების ქცევით და სოციალურ ასპექტებს, კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, მოტორულ თავისუფლებას და სენსორული სფეროს სპეციფიკურ განვითარებას. ზემოთ ჩამოთვლილი ჩვევები უნდა განავითაროს თითოეულმა რეზიდენტმა კარდიოქირურგმა, რათა ადეკვატური საშუალება მიეცეს შეძენილი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებისათვის.

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა:

რეზიდენტთან მუშაობის სქემა დაყოფილია მზადების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული და პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს პარალელურად.

თეორიულ მზადება:

ქირურგს უნდა გააჩნდეს ზოგადსამედიცინო და ზოგად-ბიოლოგიური გენერული ცოდნა, რომელიც მან უნდა გამოიყენოს კლინიკურ პრაქტიკაში; ქირურგმა უნდა წარმართოს თვისობრივი კლინიკური პროცესი და უნდა აითვისოს ძირითადი ტექნიკური/ოპერაციული ჩვევები. უპირველეს ყოვლისა ქირურგისათვის აუცილებელია დიპლომამდელი განათლების ეტაპზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და სხვა ჭრილში განხილვა. რეზიდენტის პროგრამაში მონაწილეობა ითვალისწინებს შემდეგ საბაზისო მეცნიერებებში თეორიულ მზადებას:

- გამოყენებითი ქირურგიული ანატომია
- გამოყენებითი ფიზიოლოგია
- კლინიკური ბიოქიმია
- პათოლოგია

- კლინიკური მიკრობიოლოგია
- კლინიკური ფარმაკოლოგია

ქირურგის მომზადების დროს მას აუცილებლად უნდა მიეცეს ცოდნა ჯანდაცვის ეკონომიკის, სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგიების, ეთიკური და იურიდიული საკითხების სფეროებში. მზადების პერიოდში ქირურგი უნდა ეწეოდეს სამეცნიერო აქტივობას, ამზადებდეს სამეცნიერო პუბლიკაციებს და ამით იმზადებდეს საფუძველს შემდგომი კლინიკური საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისათვის.

პრაქტიკული საქმიანობა:

მოდულებში უშუალოდ ქირურგიული სწავლება უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

პრეოპერაციული მართვა:

- ფიზიკური გამოკვლევები;
- სამუშაო დიაგნოზი და მისი განვითარების ეტაპები;
- ანესთეზიისა და ოპერაციის ადეკვატურობის (ჩვენების) განსაზღვრა;
- ელექტროკარდიოგრაფია და მისი ინტერპრეტაცია;
- სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, თირკმლის და ენდოკრინული სისტემის შესაფასებელი ტესტები (გამოკვლევები);
- თანმხლები მდგომარეობების მართვა (მაგ.: დიაბეტი, რესპირაციული დაავადებები, კარდიოვასკულური დაავადებები, მალნუტრიცია, ანემია, სიყვითლე, კოაგულაციური დარღვევები, იმუნოსუპრესიული ან სხვა სახის მკურნალობის ფონი, ფსიქიატრიული დაავადებები და სხვ.);
- პრემედიკაცია და სედაცია;
- თრომბოემბოლიური დაავადების პროფილაქტიკა.

ინტრაოპერაციული მართვა:

- ანესთეზიის პრინციპები;
- ანესთეზიის პირობებში მყოფი ავადმყოფის მოვლა და მონიტორინგი;
- ანესთეზიის პერიოდში ნერვებისა ან სხვა დაზიანებების პრევენცია.

პოსტოპერაციული მართვა:

- ტკივილის კონტროლი;
- რესპირაციული დარღვევების ამოცნობა და კორექცია;
- წყალ-მარილოვანი ბალანსის შეფასება და შენარჩუნება;
- ჰემოტრანსფუზია: ჩვენებები, რისკები, გართულებები, პლაზმის შემცველები;
- ინტრავენური მიდგომები;
- პოსტ-ოპერაციული მონიტორინგი;
- ნუტრიციული მხარდაჭერა: ჩვენება, ტექნიკა, სრული პარენტერული კვება;
- ორგანოთა სისტემების უკმარისობა პოსტოპერაციულ პერიოდში და მისი მართვა;
- პოსტ-ოპერაციული გართულებები;
- გართულებათა პრევენცია, ამოცნობა და მართვა.

ქირურგიული ინფექცია და მისი პრევენცია:

- ქირურგიულად “მნიშვნელოვანი” მიკროორგანიზმები;
- ორგანიზმის ინფექციაზე რეაგირების პათოფიზიოლოგია;

- სექტიური შოკი;
- ქირურგიული ინფექციის წყაროები, პრევენცია და კონტროლი;
- ასეპტიკისა და ანტისექტიკის პრინციპები;
- ასეპტიკის ტექნიკა;
- სტერილიზაცია;
- ანტიბიოტიკოპროფილაქტიკა და ინფექციათა მკურნალობა;
- ჰეპატიტი და აივ-ინფიცირებულ პაციენტთა ქირურგიული მკურნალობა, სპეციფიკური სიფრთხილის ზომები.

პროგრამა ითვალისწინებს კვალიფიკაციის მაძიებლის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 41 საათიან დაყოვნების პერიოდს საავადმყოფოს გარემოში.

პროგრამის ხანგრძლივობა 5 წელია. პროგრამის მიმდინარეობის დროს, კვალიფიკაციის მაძიებელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სწავლების შეწყვეტა არ შეუძლია ერთ წელზე მეტი პერიოდის ხანგრძლივობით.

კარდიოქირურგიის სასწავლო პროგრამა იყოფა 4 ეტაპად: საწყისი ეტაპი ანუ ზოგადი ქირურგიის რეზიდენტურის მოდული (საერთოა ყველა ქირურგიული სპეციალობებისთვის, ხანგრძლივობა 11 თვე), შუალედური I და II ეტაპები (ხანგრძლივობა შესაბამისად 11 და 11 თვე) და საბოლოო ეტაპი (ხანგრძლივობა 22 თვე).

სწავლების საწყისი ეტაპი:

მოდულის მიზანია, რეზიდენტს გააცნოს ზოგადქირურგიული კლინიკის ძირითადი კომპონენტები. რეზიდენტმა უნდა აითვისოს პერი-, ინტრა- და პრეოპერაციული მართვის საკითხები. იგი უნდა გაეცნოს ასევე ქირურგიული ინფექციისა და კლინიკური მიკრობიოლოგიის თავისებურებებს, ქირურგიული და ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის გზებს. პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტმა უნდა დაიწყოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულება. მათ შორის უნდა დაეუფლოს ჭრილობის პირველად ქირურგიულ დამუშავებას, დამუშავების სპეციფიკას მიდამოების მიხედვით. პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პალატაში რეზიდენტი უნდა დაეუფლოს ქირურგიული ავადმყოფის შეფასების უნარებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ჰემოდინამიკურ და ჰომეოსტაზურ მაჩვენებლებზე და მათი დარღვევის კორექციის გზებზე. რეზიდენტი 11 თვის შემდეგ უნდა ასრულებდეს ზოგადი ქირურგიის ტიპურ მანიპულაციებს.

სწავლების შუალედური I ეტაპი:

რეზიდენტს შესაბამისი პროგრამის შესრულების ფარგლებში მოეთხოვება სალექციო მასალის მომზადება და ბავშვთა და/ან მოზრდილთა კარდიოინტენსიური თერაპიის ექიმთან ერთად კარდიოინტენსიური თერაპიის პალატაში კვირაში 2 მორიგეობა.

სწავლების შუალედური II ეტაპი:

რეზიდენტს შესაბამისი პროგრამის შესრულების ფარგლებში მოეთხოვება მონაწილეობა მიიღოს კვირაში არანაკლებ ორ კარდიოქირურგიულ ოპერაციაში (96 ასისტენცია წლის განმავლობაში) და ბავშვთა და/ან მოზრდილთა კარდიოინტენსიური თერაპიის ექიმთან ერთად კარდიოინტენსიური თერაპიის პალატაში იმორიგეოს კვირაში 2 ჯერ. პრაქტიკული მზადების ხანგრძლივობა მოიცავს ასისტენციაში დახარჯულ საათებს. ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასწრაფო კარდიოქირურგიულ ოპერაციებში.

სწავლების საბოლოო ეტაპი:

რეზიდენტს შესაბამისი პროგრამის შესრულების ფარგლებში მოეთხოვება მონაწილეობა მიიღოს კვირაში არანაკლებ 3 (144 ასისტენცია წლის განმავლობაში) კარდიოქირურგიულ ოპერაციაში. ბავშვთა და/ან მოზრდილთა კარდიოინტენსიური თერაპიის ექიმთან ერთად იმორიგეოს კვირაში 2 ჯერ. ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასწრაფო კარდიოქირურგიულ ოპერაციებში.

სწავლების სხვა და სხვა ეტაპზე სასწავლო პროგრამა განსაზღვრავს: მოთხოვნებს კარდიოქირურგისადმი, სპეციალობის ფარგლებში ცალკეულ თემებს და კომპეტენციას ამ სპეციალობის თითოეულ კომპონენტში.

პროგრამის აღნიშნული ვადები, დეფინიცია და დაყოფა განპირობებულია იმით, რომ მოხდეს მისი სრულყოფილი ადაპტაცია საქართველოში არსებულ რეალობასთან და შესაბამისობაში მოვიდეს სარეზიდენტო პროგრამების საერთაშორისო გამოცდილებასთან.

პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტაჟიორი კარდიოქირურგი შეძლებს წარმოაჩინოს თავისი კომპეტენცია კარდიოქირურგიული სპეციალობის ყველა ასპექტში (ოპერაციულ ჩარევებშიც).

მომზადების პერიოდში რესურსების სიმცირის, პროგრამის უწყვეტობისა და მიმდინარეობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის შესაძლო რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, თუ კვალიფიკაციის მაძიებელი ვერ შეასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ მინიმალურად მოთხოვნებს, პროგრამის ხელმძღვანელი და/ან პროგრამის ფაკულტეტი განიხილავს საკითხს პროგრამის ხანგრძლიობის გაზრდასთან დაკავშირებით.

თითოეული პროცედურაში მსმენელის კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობის განსაზღვრისათვის სასწავლო პროგრამაში გამოყენებულია 4 ბალიანი შკალა (განსაზღვრება მოტანილია ქვემოთ):

1. უფლებამოსილია დააკვირდეს
2. უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ პროფესიონალის დახმარებით
3. უფლებამოსილია განახორციელოს სრულად, მაგრამ შესაძლოა დასჭირდეს პროფესიონალის დახმარება
4. უფლებამოსილია განახორციელოს სრულად დამოუკიდებლად, პროფესიონალის დახმარების გარეშე (მოიცავს გართულებების მართვასაც)

კარდიოქირურგიის პროგრამის კურსდამთავრებულმა რეზიდენტმა უნდა შეძლოს:

- ქირურგიულ მდგომარეობათა მართვა, საბაზისო და კლინიკურ ცოდნაზე დაფუძნებული გამოცდილების გამოყენებით;
- უჩვენოს შესაბამისი უნარ-ჩვევები იმ ქირურგიული ტექნიკის გამოყენებით, რომელსაც უნდა ფლობდეს კვალიფიციური ქირურგი;
- აჩვენოს კრიტიკული აზროვნების უნარი ქირურგიული გადაწყვეტილებების მიღებისას, განსაკუთრებით, როდესაც ავადმყოფი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში;
- წარმართოს ეთიკური, იურიდიულად დასაბუთებული განსჯა, რაც შეეფერება მაღალი კვალიფიკაციის ექიმ სპეციალისტს;
- ეფექტურად ითანამშრომლოს კოლეგებთან და სხვა სპეციალობის ექიმებთან;

- ასწავლოს და გაუზიაროს შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება კოლეგებს, უმცროს რეზიდენტებს, სტუდენტებს და ჯანდაცვის სფეროს სხვა მუშაკებს;
- მიაწოდოს პაციენტს და მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მათი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი საჭირო რეკომენდაციები;
- აჩვენოს მზადყოფნა უწყვეტი პროფესიული განათლებისათვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ქირურგის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და სრულყოფისათვის;
- აჩვენოს სამეცნიერო კვლევების, ნაშრომების ადეკვატური აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარი, ამავდროულად თვითონაც შეეძლოს სამეცნიერო კვლევის წარმართვა ან მასში აქტიური მონაწილეობა;
- განავითაროს ლიდერობისა და ადმინისტრაციული უნარები;
- პატივი სცეს პაციენტის და მათი ოჯახის საჭიროებებს, აღმოუჩინოს და წარმართოს ქირურგიული დახმარება მათი საჭიროებიდან გამომდინარე.

კონფერენციები:

საგანმანათლებლო კონფერენციები ადეკვატური უნდა იყოს, როგორც ხარისხით, ისე სიხშირით. ამ შეხვედრებზე რეზიდენტებმა უნდა შეძლონ არა მარტო კლინიკური ქირურგიული შემთხვევების განხილვა, არამედ, ქირურგიის ბოლო მიღწევების გაცნობა. კონფერენციების განრიგი წინასწარ უნდა იყოს დამტკიცებული და ცნობილი, რათა რეზიდენტებმა შეძლონ მათზე რეგულარული დასწრება. პროგრამის მიმდინარეობისას შესაძლებელია შემდეგი ტიპის კონფერენციების მოწყობა:

1. სიკვდილობისა და გართულებული შემთხვევების ყოველკვირეული გარჩევა, მათ შორის შემთხვევათა რადიოლოგიური და პათოლოგანატომიური შესაბამისობის გაცნობა ქირურგიული კლინიკისა და სექციის შედეგების შეპირისპირება;
2. კონფერენციების სტრუქტურული სერიების ციკლი რათა დაიფაროს პროგრამით გათვალისწინებული კლინიკური და საბაზისო საკითხები.
3. რეგულარულად მოწყობილი კლინიკური სასწავლო კონფერენციები, მაგალითად: კლინიკური გარჩევები და მრგვალი მაგიდები სხვადასხვა მოწვეულ პროფესიონალთა მონაწილეობით.

ქირურგიული ცოდნის ცენტრალური ნაწილი ჯამდება სწორედ ზემოთ აღნიშნულ ყოველკვირეულ საბაზისო კონფერენციებზე, რომლებიც ინტერაქტიულია და დიდაქტიკურ ხასიათს ატარებს. ქირურგიული მრგვალი მაგიდები და ავადობა-სიკვდილობის კონფერენციები წარმოადგენენ ფორუმს, სადაც რეზიდენტმა უნდა აჩვენოს ფუნდამენტური ცოდნა; რეზიდენტს საშუალება ეძლევა გადახედოს საბაზისო ქირურგიულ საფუძვლებს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს შემთხვევათა პრეზენტაციებში და გაარჩიოს და დაამუშაოს თანამედროვე ლიტერატურა. კონფერენციებზე, უფროსი რეზიდენტები ასრულებენ წარმმართავ როლს და ხელს უწყობენ, მათი უმცროსი კოლეგების განათლებას.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა:

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კომპონენტი მიჩნეულია პროგრამის ინტეგრალურ ნაწილად და მისი წარმართვა სასურველია პროგრამის მონაწილე ყველა რეზიდენტისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი იძლევა მეთოდურ მითითებებს და რეკომენდაციებს ამ სფეროში, ასევე საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწყვეტ

რეზიდენტებს პროექტის დაგეგმვის და განვითარების საკითხებში, აწვდის ინფორმაციას ძირითად რესურსებზე, ეხმარება დონორებთან ურთიერთობაში.

რეზიდენტი უნდა ესწრებოდეს ეროვნულ პროფესიულ ფორუმებსა და ღონისძიებებს ქირურგიის საკითხებზე, ასევე შეძლებისდაგვარად მონაწილეობას ღებულობდეს საერთაშორისო პროფესიულ და სამეცნიერო ფორუმებში. რეზიდენტები, რომლებიც ჩართულნი არიან სამეცნიერო საქმიანობაში, ვალდებული არიან საკუთარი კვლევის შედეგების შესახებ მოხსენებით წარსდგნენ პროგრამისა და ფართო ქირურგიული საზოგადოების წინაშე.

რეზიდენტმა პროგრამის მიმდინარეობისას სასურველია გამოაქვეყნოს სულ მცირე ორი სამეცნიერო პუბლიკაცია ჟურნალში, ასევე, მინიმუმ ერთხელ მაინც მოახსენოს სამეცნიერო კვლევების შედეგები ეროვნულ/რეგიონალ/საერთაშორისო პროფესიულ ფორუმს. პროგრამის ხელმძღვანელი თავის მხრივ ვალდებულია მოახდინოს რეზიდენტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტის შეფასება, რომლის დროსაც ყურადღება უნდა მიექცეს სტატიის ფორმატს, თეზისის შინაარსს, ზოგად სტრუქტურას, ორიგინალურობას, საერთო დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

ქვემოთ მოყვანილია სქემა, რომელიც იძლევა ზოგად მითითებებს, თუ რა მოცულობითა და ფორმით უნდა გამოიმუშავოს რეზიდენტმა სამეცნიერო საქმიანობის უნარ-ჩვევები, ხუთწლიანი პროგრამის განმავლობაში, თითოეული მოდულის მიხედვით. (ცხრილი #1)

(ცხრილი #1)

	სამედიცინო ინფორმაციის დამუშავების ტიპი	კვლევითი პროექტი	ალტერნატიული პრეზენტაციის სახე
I	ლიტერატურის ძიება	სტატიების მოპოვება და მტკიცებულების დონის შეფასება	არ მიიღება მხედველობაში
II	ლიტერატურის მიმოხილვა	ლიტერატურული წყაროების ძიება და კვლევითი მიმართულების შერჩევა	პოსტერი (სიმპოზიუმში)
III	შემთხვევის აღწერა	<ul style="list-style-type: none"> ორიგინალური პროექტი მონაცემთა შეგროვება ორიგინალური განხორციელებადი კვლევა 	პოსტერი (სიმპოზიუმში)
IV	ორიგინალური კვლევითი პროექტი	<ul style="list-style-type: none"> მონაცემთა შეგროვება მიმოხილვა ანგარიშის მიმზადება პროგრამის დირექტორისათვის ორიგინალური კვლევის შედეგებზე მოხსენების პროექტის მომზადება ორიგინალური კვლევის შედეგებზე სტატიის მომზადების დასრულება პროგრამის დირექტორის მიერ საბოლოო შეფასება 	შესაძლებელია წარდგენილ იქნას პოსტერთა სესიაზე, თუმცა ასევე საჭიროა ორიგინალური სტატიის მომზადებაც

თეორიული მზადება:

(პროგრამული საკითხების დამუშავება; კონფერენციის, საზოგადოების სხდომის, სემინარის მოხსენების თემა; ლიტერატურის მიმოხილვა; დამუშავებული რეფერატები)

№	თემის დასახელება	სად იყო წარდგენილი თემა	შესრულების თარიღი

მოდულზე პასუხისმგებელი პირი: _____

პრაქტიკული მუშაობა:

№	დაწესებულების დასახელება პაციენტის გსმ	ისტორიის № თარიღი	პროცედურა, კურაცია, მანიპულაცია, ოპერაცია

მორიგეობა სტაციონარში:

№	კლინიკა, განყოფილება,თარიღი	ავადმყოფის გსმ სამკურნალო მანიპულაცია

ასევე, ცხრილის სახით, ქვემოთ მოყვანილია შესასწავლი მოდულების განაწილება კალენდარული წლის განმავლობაში:

მოდულების დასახელება	„კარდიოქირურგიის“ რეზიდენტურის პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით (I წლის პროგრამა)										
	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე
1.1. ზოგადი ქირურგია											

მოდულების დასახელება	„კარდიოქირურგიის“ რეზიდენტურის პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით (II წლის პროგრამა)										
	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე
2.1. კრიტიკული მედიცინა და პოსტოპერაციული მართვა											
2.2. სისხლის ხელოვნური მიმოქცევა (ს.ხ.მ.)											
2.3. მიოკარდიუმის დაცვა											
2.4. სისხლის											

მიმოქცევის მხარდაჭერა												
2.5. გულის იშემიური დაავადება												
2.6. გულის სარქვლოვანი დაავადება												
2.7. აორტო-სისხლძარღვოვანი დაავადება												
2.8. გულმკერდის ქირურგიული პაციენტების ზოგადი მართვა												
2.9. პერიკარდიუმის დაზიანებები												
2.10. გულის თანდაყოლილი დაავადებები												

მოდულების დასახელება	„კარდიოქირურგიის“ რეზიდენტურის პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით (III წლის პროგრამა)											
	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	
3.1. კრიტიკული მედიცინა და პოსტოპერაციული მართვა												
3.2. სისხლის ხელოვნური მიმოქცევა (ს.ხ.მ.)												
3.3. მიოკარდიუმის დაცვა												
3.4. სისხლის მიმოქცევის მხარდაჭერა												
3.5. გულის იშემიური დაავადება												
3.6. გულის სარქვლოვანი დაავადება												
3.7. აორტო-სისხლძარღვოვანი												

დაავადება											
3.8. გულმკერდის ქირურგიული პაციენტების ზოგადი მართვა											
3.9. პერიკარდიუმის დაზიანებები											
3.10. გულის თანდაყოლილი დაავადებები											

მოდულების დასახელება	„კარდიოქირურგიის“ რეზიდენტურის პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით (IV წლის პროგრამა)										
	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე
4.1. კრიტიკული მედიცინა და პოსტოპერაციული მართვა											
4.2. სისხლის ხელოვნური მიმოქცევა (ს.ხ.მ.)											
4.3. მიოკარდიუმის დაცვა											
4.4. სისხლის მიმოქცევის მხარდაჭერა											
4.5. გულის იშემიური დაავადება											
4.6. გულის სარქველოვანი დაავადება											

მოდულების დასახელება	„კარდიოქირურგიის“ რეზიდენტურის პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით (V წლის პროგრამა)										
	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე
4.7. აორტო-სისხლძარღვოვანი დაავადება											
4.8. გულმკერდის ქირურგიული პაციენტების ზოგადი მართვა											
4.9. პერიკარდიუმის დაზიანებები											
4.10. გულის											

თანდაყოლილი დაავადებები										
----------------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

4. აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო რესურსები:

კარდიოქირურგიული სარეზიდენტო სასწავლო პროგრამა კონცენტრირებული უნდა იყოს ფართო რეგიონულ და სასწავლო ჰოსპიტალებში, სადაც ადვილად ხელმისაწვდომია ყველა საჭირო სამედიცინო და ტექნიკური საშუალებები. თითოეულ განყოფილებაში უნდა იყოს საშუალოდ 4 ან მეტი კონსულტანტი ქირურგი, რომელთაგან თითოეული მათგანი წელიწადში დაახლოებით 50 - ზე მეტ დამოუკიდებლად ოპერაციას და/ან ასისტენციას უნდა ასრულებდეს.

5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები:

1. რეზიდენტურის პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო კლინიკებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაც მიღებული აქვთ აკრედიტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. რეზიდენტურის კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი მოწმობა.
3. რეზიდენტურის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არიან - რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის დირექტორატი, მოდულზე პასუხისმგებელი პირები, რეზიდენტები.
4. პროგრამის ხელმძღვანელი:
 - ა. ადგენს მისაღები გამოცდის პროგრამას და მონაწილეობს რეზიდენტურაში მიღების პროცესში;
 - ბ. კოორდინაციას უწევს სპეციალობის აღწერილობის საფუძველზე შედგენილ დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტებულ პროგრამის განხორციელებას;
 - გ. ადგენს რეზიდენტის ინდივიდუალურ გეგმა-გრაფიკს სამედიცინო დაწესებულების და მოდულზე პასუხისმგებელი პირების მითითებით და განსაზღვრავს რამდენ რეზიდენტს შეიძლება ზედამხედველობდეს ერთი მოდულზე პასუხისმგებელი პირი.
 - დ. კონტროლს უწევს რეზიდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობას წინასწარ დადგენილი ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით.
 - ე. ყოველწლიური შეფასების შედეგების გათვალისწინებით აძლევს რეზიდენტს რეკომენდაციას პროგრამის გაგრძელების შესახებ.

- ვ. რეზიდენტის საქმიანობის არადამაკმყოფილებლი წლიური შეფასებისას წარადგენს დასაბუთებულ მოხსენებით ბარათს გარიცხვის შესახებ.
 - ზ. რეზიდენტურის კურსის წარმატებული დასრულების შემდეგ ატარებს რეზიდენტის შემაჯამებელ ატესტაციას და აძლევს რეკომენდაციას შესაბამისი მოწმობის გაცემის შესახებ.
 - თ. პროგრამის ხელმძღვანელი ზედამხედველობას უწევს და აფასებს მოდულზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობას.
5. პროგრამის დირექტორატის წევრები:
- ა. მონაწილეობენ რეზიდენტების შერჩევის პროცესში;
 - ბ. პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ყოველწლიურად აფასებენ რეზიდენტების მუშაობას დადგენილი წესის მიხედვით;
 - გ. პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავენ რეზიდენტის ატესტაციის ფორმატს;
 - დ. მონაწილეობენ რეზიდენტის შემაჯამებელი ატესტაციის პროცესში;
 - ე. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციას უწევენ პროგრამის ხელმძღვანელს რეზიდენტურის პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხებზე.
6. მოდულზე პასუხისმგებელი პირები:
- ა. წარმართავს სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის მუშაობას;
 - ბ. თავისი საქმიანობის განსაზღვრულ დროს უთმობს რეზიდენტებთან პედაგოგიურ მუშაობას;
 - გ. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ წარუდგენს ანგარიშს პროგრამის ხელმძღვანელს, რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ დადგენილი წესის მიხედვით;
 - დ. რეზიდენტის დღიურში ხელმოწერით ადასტურებს რეზიდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს.
7. რეზიდენტი:
- ა. რეზიდენტი შეიძლება გარიცხული იქნას რეზიდენტურიდან ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი;
 - ბ. რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, თანამედროვე ტიპის კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
 - გ. რეზიდენტი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
 - დ. რეზიდენტი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;

- ე. რეზიდენტი ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს წარუდგინოს პროგრამის ხელმძღვანელს გაწეული მუშაობის ანგარიში და გაიაროს ეტაპობრივი და დამასრულებელი ატესტაცია დადგენილი წესით;
- ვ. რეზიდენტი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების განრიგით განსაზღვრული საქმიანობა.

7. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება:

თითოეული რეზიდენტი ასრულებს გარკვეულ საქმიანობას. თეორიული პროგრამის შესრულება და მრავლობითი მოდულები/როტაციები გამიზნულია იმისათვის, რომ რეზიდენტმა შესძლოს ავადმყოფთა ფართო სპექტრის განსხვავებული შემთხვევების ნახვა, შესწავლა და მართვა; მიიღოს საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე სარეზიდენტო პროგრამით.

ამ პროცესის დროს რეზიდენტებზე ზედამხედველობა ხორციელდება ამ მიზნით სპეციალურად დანიშნული ექიმების (მოდულზე პასუხისმგებელი პირები) მიერ. თითოეულ რეზიდენტზე ზედამხედველობისა და მისი საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წერილობითი ანგარიშის სახით. საჭიროა გაკონტროლდეს რეზიდენტის მიერ მისი ინდივიდუალური გეგმის შესრულება, რეზიდენტის წასვლა-მოსვლის განრიგი, სხვა ვალდებულებანი, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული.

ზედამხედველობა რეზიდენტისაგან მოითხოვს განსხვავებულ დამოკიდებულებას, ქირურგიული სპეციალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე. აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს, კომპეტენციასთან ერთად, პროპორციულად ეზრდება პასუხისმგებლობა და მოვალეობები, მათ შორის ავადმყოფთა მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებით.

რეზიდენტის ზედამხედველ ექიმს- (მოდულზე პასუხისმგებელ პირებს) გააჩნია, როგორც იურიდიული, ისე ეთიკური პასუხისმგებლობა ინდივიდუალური პაციენტის მკურნალობასა და მოვლაზე, ამავე დროს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის საქმიანობაზე და განათლებაზე. ამასთან, პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს, აღნიშნული ზედამხედველობა უფრო ნაკლები ხარისხით ესაჭიროება, ვიდრე სწავლების საწყის საფეხურზე მყოფ პირებს. მითითებების ჯაჭვი ითვალისწინებს ეტაპობრივი პასუხისმგებლობის ზრდას. უფლებამოსილების გადაცემის საზღვრები, კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ზედამხედველი ექიმის მიერ, გამომდინარე რეზიდენტის აკადემიური მომზადებისა და ტექნიკური მზაობის ასპექტებიდან. ამგვარი მიდგომა უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის (ხელმძღვანელისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირების) ხანგრძლივი დაკვირვებიდან, რომელიც პასუხისმგებელნი არიან რეზიდენტის მიერ ქირურგიული უნარ-ჩვევების ათვისებაზე და ხარისხზე. ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის, მომზადების პროგრამა უნდა მოიცავდეს ზედამხედველობის განხორციელების შემდეგ პრინციპებს:

1. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები შესაძლებელია განისაზღვროს კლინიკის შინაგანაწესით, პოლიტიკით ან სხვა რაიმე პროცედურული ნორმით;
2. სათანადო ზედამხედველობა ხელს არ უნდა უშლიდეს პროგრესულ და შედარებით უფრო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებას რეზიდენტთან დაკავშირებით; ამგვარად, ზედამხედველობის ტიპი შესაძლებელია ვარირებდეს კლინიკური სიტუაციებისა და რეზიდენტის მომზადების ეტაპისა და დონის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულზე პასუხისმგებელი პირები ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი რჩევის მიცემის, დახმარების ან კონსულტაციური მხარდაჭერისათვის.

8. სწავლების შეფასების მეთოდები

კარდიოქირურგიის რეზიდენტები პროგრამაში მონაწილეობისას უნდა აკმაყოფილებდნენ დადგენილ აკადემიურ კრიტერიუმებს. წლიდან წლამდე, რეზიდენტთა აკადემიური კომპეტენციისა და კლინიკური უნარ ჩვევების პროგრესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება რეზიდენტთა შეფასების სისტემის საშუალებით.

რეზიდენტთა საბაზისო და კლინიკური ცოდნის, კლინიკური უნარ ჩვევების, ზოგად სამედიცინო ასპექტებისა და სხვა კომპონენტების შეფასების ამსახველი ინფორმაცია საბოლოო ჯამში თავს იყრის რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელთან. რეზიდენტთა განვითარების და მოქმედების პროგრესის მონიტორინგი ეტაპობრივად ხორციელდება თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ.

რეზიდენტის შეფასება შესაძლებელია მოხდეს გამოცდის ტიპით მოწყობილი გამოკითხვით: ზეპირი, ტესტური, წერილობითი და ჩვევებზე უშუალო ზედამხედველობის სახით.

მოდულის დასრულების შემდეგ შეფასების ანგარიში გადაეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელთან განსახილველად და ხელმოწერისათვის. რეზიდენტთა შეფასების პოლიტიკა მნიშვნელოვანია ასევე პროგრამის პრომოციის, სრულყოფის, გამოსწორების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თვალსაზრისით.

9. პროგრამის ხანგრძლივობა:

კარდიოქირურგიაში პროგრამით სწავლის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 55 თვით.

რეზიდენტთან მუშაობის სქემა დაყოფილია მზადების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული და პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს პარალელურად.

პროგრამა ითვალისწინებს კვალიფიკაციის მაძიებლის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 41 საათიან დაყოვნების პერიოდს საავადმყოფოს გარემოში.

სარეზიდენტო პროგრამა კარდიოქირურგიაში მიზანმიმართულია კარდიოქირურგიაში რეზიდენტის თეორიული და პრაქტიკული მზადებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა 5 წელია. პროგრამის მიმდინარეობის დროს, კვალიფიკაციის მაძიებელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სწავლების შეწყვეტა არ შეუძლია ერთ წელზე მეტი პერიოდის ხანგრძლივობით.

კარდიოქირურგიის სასწავლო პროგრამა იყოფა 4 ეტაპად: საწყისი ეტაპი ანუ ზოგადი ქირურგიის რეზიდენტურის მოდული (საერთოა ყველა ქირურგიული სპეცილობებისთვის, ხანგრძლივობა 11 თვე), შუალედური I და II ეტაპები (ხანგრძლივობა შესაბამისად 11 და 11 თვე) და საბოლოო ეტაპი (ხანგრძლივობა 22 თვე).

რეზიდენტურის პროგრამა “კარდიოქირურგია” - 55 თვე

პროგრამის ზოგადი ნაწილი		
პროფესიული მზადების I წელი		
მოდ.#	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ზოგადი ქირურგია	11 თვე
პროგრამის შუალედური ნაწილი I ეტაპი		
პროფესიული მზადების II წელი		
2.1.	კრიტიკული მედიცინა და პოსტოპერაციული მართვა	1 თვე
2.2.	სისხლის ხელოვნური მიმოქცევა (ს.ხ.მ.)	1 თვე
2.3.	მიოკარდიუმის დაცვა	1 თვე
2.4.	სისხლის მიმოქცევის მხარდაჭერა	1 თვე
2.5.	გულის იშემიური დაავადება	1 თვე
2.6.	გულის სარქლოვანი დაავადება	1 თვე
2.7.	აორტო-სისხლმარღვოვანი დაავადება	1 თვე
2.8.	გულმკერდის ქირურგიული პაციენტების ზოგადი მართვა	1 თვე
2.9.	პერიკარდიუმის დაზიანებები	1 თვე
2.10.	გულის თანდაყოლილი დაავადებები	2 თვე
პროგრამის შუალედური ნაწილი II ეტაპი		
პროფესიული მზადების III წელი		
3.1.	კრიტიკული მედიცინა და პოსტოპერაციული მართვა	1 თვე
3.2.	სისხლის ხელოვნური მიმოქცევა (ს.ხ.მ.)	1 თვე
3.3.	მიოკარდიუმის დაცვა	1 თვე
3.4.	სისხლის მიმოქცევის მხარდაჭერა	1 თვე
3.5.	გულის იშემიური დაავადება	1 თვე
3.6.	გულის სარქლოვანი დაავადება	1 თვე
3.7.	აორტო-სისხლმარღვოვანი დაავადება	1 თვე
3.8..	გულმკერდის ქირურგიული პაციენტების ზოგადი მართვა	1 თვე
3.9.	პერიკარდიუმის დაზიანებები	1 თვე
3.10.	გულის თანდაყოლილი დაავადებები	2 თვე
პროგრამის სპეციფიკური ნაწილი		

პროფესიული მზადების IV წელი		
4.1.	კრიტიკული მედიცინა და პოსტოპერაციული მართვა	1 თვე
4.2.	სისხლის ხელოვნური მიმოქცევა (ს.ხ.მ.)	1 თვე
4.3.	მიოკარდიუმის დაცვა	1 თვე
4.4.	სისხლის მიმოქცევის მხარდაჭერა	1 თვე
4.5.	გულის იშემიური დაავადება	3 თვე
4.6.	გულის სარქვლოვანი დაავადება	4 თვე
პროფესიული მზადების V წელი		
5.1.	აორტო-სისხლმარღვოვანი დაავადება	4 თვე
5.2.	გულმკერდის ქირურგიული პაციენტების ზოგადი მართვა	1 თვე
5.3.	პერიკარდიუმის დაზიანებები	1 თვე
5.4.	გულის თანდაყოლილი დაავადებები	5 თვე

10. პროგრამის განახლების პერიოდულობა:

პროგრამის განახლების პერიოდულობას წელიწადში ერთხელ განიხილავს შესაბამისი დარგობრივი ასოციაცია და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს შესაბამის ცვლილებებს.

II. პროგრამის ზოგადი ნაწილი

პროფესიული მზადების I წლის მოდულები - „სწავლების საწყისი ეტაპი“ მოდული 1.1.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა: ზოგადი ქირურგია - 11 თვე
2. მოდულის მიზანი:

საორიენტაციო პროგრამის შემდგომ რეზიდენტს გააცნოს ზოგადქირურგიული კლინიკის ძირითადი კომპონენტები. რეზიდენტმა უნდა აითვისოს პერი-, ინტრა- და პრეოპერაციული მართვის საკითხები. იგი უნდა გაეცნოს ასევე ქირურგიული ინფექციისა და კლინიკური მიკრობიოლოგიის თავისებურებებს, ქირურგიული და ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის გზებს. პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტმა უნდა დაიწყოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულება. მათ შორის უნდა დაეუფლოს ჭრილობის პირველად ქირურგიულ დამუშავებას, დამუშავების სპეციფიკას მიდამოების მიხედვით. პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პალატაში რეზიდენტი უნდა დაეუფლოს ქირურგიული ავადმყოფის შეფასების უნარებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ჰემოდინამიკურ და ჰომეოსტაზურ მაჩვენებლებზე და მათი დარღვევის კორექციის გზებზე. რეზიდენტი, რამდენიმე თვის შემდეგ უნდა ასრულებდეს პოლიკლინიკური ქირურგიის ტიპურ მანიპილაციებს. მოდულის ბოლოს, რეზიდენტი ეუფლება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ქირურგიულ კომპონენტებს, მათ შორის ტრაქეოტომიის, ტრაქეის ინტუბაციის ტექნიკას და თეორიულ საფუძვლებს.

3. ლიტერატურის ნუსხა:

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი.2000.
 2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004. (თარგმანი).
 3. ლ.კიკალიშვილი, ე.ყიფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი. 2005.
 4. Schwartz; Shires; Spence,r Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
 5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), P Ronan O'Connell (Author) , 25th edition, 2006
